GREEN CLIMATE FUND

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

ტყის მდგრადი მართვა

ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები და შესაძლებლობები

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

სოფლის განვითარების სააგენტო

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

წინამდებარე პუბლიკაცია მიზნად ისახავს ფართო საზოგადოებისთვის ცნობიერების დონის ამაღლებას ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების შესაძლებლობებისა და ტყის მდგრადი მართვის შესახებ.

საინფორმაციო მასალა შემუშავებულია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნით (ECO.Georgia)". პროექტი „ECO.Georgia" ერთობლივად ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მის დაქვემდებარებაში არსებული უწყებების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ.

სურათების წყარო - freepik.com

სარჩევი

შესავალი 2

ტყის მდგრადი მართვის არსი 4

საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული შესაძლებლობები მოსახლეობისთვის 7

ხის საწვავად მოხმარება და მისი გამონაბოლქვის ზემოქმედება ჯანმრთელობაზე 9

არამერქნული რესურსების ათვისება 11

ნადირობის რეგულირების არსებული პრაქტიკა საქართველოში 15

ტურიზმი 16

კერძო საკუთრების ტყეები 19

- საერთაშორისო მიდგომები 19
- საქართველოში ტყითსარგებლობისა და ნადირობის ტრადიციები 20

შესავალი

ტყე უზრუნველყოფს მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ფუნქციებს, როგორებიცაა: ბიომრავალფეროვნების დაცვა, ნიადაგის ეროზიის პრევენცია, წყლის რესურსების რეგულირება, ბუნებრივი საფრთხეებისგან გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება, კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაცია და სხვა. საქართველოს ტყე უმეტესად ქვეყნის მთიან რაიონებშია განლაგებული და რეგიონული და გლობალური მნიშვნელობის ბიომრავალფეროვნების ფასეულობას წარმოადგენს. 2019-2022 წლებში საქართველოში ტყის ეროვნული აღრიცხვა პირველად ჩატარდა, რომელიც ტყის მდგრადი მართვის წინაპირობაა. მისი მეშვეობით ტყის რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი მაჩვენებლები ფასდება. ტყის ეროვნული აღრიცხვის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 44.5% ტყით არის დაფარული, რაც ქვეყნის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. ტყის 98% ბუნებრივი წარმოშობისაა და უმეტესად დიდი და მცირე კავკასიონის მთიან ფერდობებზეა განლაგებული[1].



საზოგადოების ინტერესი ტყისადმი განპირობებულია არა მხოლოდ გარემოსდაცვითი და ესთეტიკურ-კულტურული თვალსაზრისით, არამედ მათი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის გამოც. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ქვეყანაში არსებული სოციალური ფონიდან გამომდინარე, ტყე ჯერ კიდევ რჩება ერთ-ერთ ძირითად საშუალებად, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. შეშა ყველაზე გავრცელებული და ხელმისაწვდომი ენერგეტიკული რესურსია და გარკვეულ შემთხვევებში არა მხოლოდ ზამთრის პერიოდში, არამედ მთელი წლის განმავლობაში გამოიყენება სათბობად, საკვების მოსამზადებლად და

1. ტყის ეროვნული აღრიცხვა (2019-2021)

სხვა მიზნებისთვის (სამასალე მერქნული რესურსი, ტყეში არსებული საძოვრები, მერქნის წვრილი სორტიმენტი (ჭიგო, სარი და სხვა), ტყის არამერქნული რესურსები (სოკო, კენკრა და ა.შ.)). ამასთანავე, ტყესთან დაკავშირებულ სოციალურ სარგებელს მიეკუთვნება სატყეო სექტორში დასაქმება.

საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის მიხედვით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2013 წელს მიიღო - **„ყველა ტყე ადგილობრივია“, ტყის მართვის პროცესში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას,** თუმცა ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე. ამავე კონცეფციის თანახმად, აღიარებული და მხარდაჭერილი უნდა იყოს ტყიან ტერიტორიებზე მოსახლე თემების იდენტურობა და კულტურა, ტყითსარგებლობისა და ტყის შენარჩუნების ტრადიციული ცოდნა, ტყის რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებელი სამართლიანად უნდა განაწილდეს ადგილობრივ, რეგიონულ და საერთო ეროვნულ მომხმარებლებს შორის. აუცილებელია ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით, იმ რესურსების რაციონალურად მართვასა და გამოყენებაზე პასუხისმგებლობის გადაცემა, რომლებიც ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობას უზრუნველყოფენ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღესდღეობით არასაკმარისია ტყის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა. ტყის სექტორის რეფორმა ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ინტენსიურ ჩართვას ტყის მდგრადი მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში. კერძოდ, ტყის მართვის გეგმების შედგენისა და განხორციელების პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება უნდა ეფუძნებოდეს ტყის მდგრად მართვას. ტყით საერთო სარგებლობის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტყის ხელმისაწვდომობა ყველასთვის.

ტყის მდგრადი მართვის არსი

ევროპის ტყის (მინისტრთა კონფერენცია ევროპის ტყეების დაცვის შესახებ- Ministrial Conference on the Protection of Forests in Europe - MCPFE[2]) მიერ მიღებული განსაზღვრების თანახმად, ტყის მდგრადი მართვა ნიშნავს :

„ტყის ისეთი გზითა და მოცულობით მართვასა და გამოყენებას, რომ შენარჩუნდეს მისი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, რეგენერაციის შესაძლებლობა, სიცოცხლისუნარიანობა და პოტენციალი, რათა ახლაც და მომავალშიც შესრულდეს ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე და არ დაზიანდეს სხვა ეკოსისტემები".

უფრო მარტივად, ტყის მდგრადი მართვა გულისხმობს ტყისგან სარგებლის მიღებას ისე, რომ შევინარჩუნოთ მისი სიჯანსაღე და ბიომრავალფეროვნება. ამ ბალანსის დაცვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ტყის გადარჩენისთვის და მასზე დამოკიდებული მოსახლეობის კეთილდღეობისთვის. ტყის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოსთვის, ტყის მდგრადი მართვა ნიშნავს იმ პრინციპების ერთობლიობას, რომელთა მიხედვითაც ტყე დღეს ისე უნდა იქნეს გამოყენებული, რომ მომავალში უზრუნველყოფილი იყოს მისგან იგივე სარგებლის მიღება, სიჯანსაღისა და პროდუქტიულობის შენარჩუნება.

საქართველოს მთავრობას აქვს ვალდებულება ჩამოაყალიბოს ტყის მდგრადი მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვას, ტყის ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას მათი ეკოლოგიური ღირებულებების გათვალისწინებით, საზოგადოების ჩართულობას ტყის მართვაში და მიღებული სარგებლის სამართლიან განაწი-

2 https://foresteurope.org/about/#prev-mc

ლებას. აღნიშნული წარმოადგენს 2013 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ეროვნული სატყეო კონცეფციის მიზანს, რაც ერთიანია საქართველოს ყველა ტყისათვის, მიუხედავად მათი საკუთრების, მფლობელობისა და მართვის ფორმებისა. იგი საფუძვლად უდევს სატყეო სექტორის კანონმდებლობის, ინსტიტუციური მოწყობისა და სხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების შემუშავებასა და დახვეწას.

ტყის მდგრადი მართვის პრინციპები მკვეთრად განსაზღვრულია საქართველოს ტყის კოდექსში. ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებით, მდგრადი მართვა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

- მართვის პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას;
- დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ტყის ფუნქციური დანიშნულება, რათა ტყის ერთი ფუნქციით სარგებლის მიღებამ არ გამოიწვიოს ტყის სხვა ფუნქციის დეგრადაცია;
- ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება უნდა ეფუძნებოდეს ტყის მდგრად მართვას. ტყით საერთო სარგებლობის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ტყის ყველასთვის ხელმისაწვდომობა.
- ტყე უნდა იმართებოდეს მდგრადი მართვის პრინციპების შესაბამისად, რომელიც, ამავდროულად, უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ქვეყანას გააჩნია საერთაშორისო ვალდებულებები ტყის დაცვისა და მდგრადი მართვის საკითხებთან დაკავშირებით. 2014 წელს ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც წარმოადგენს „ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება". აღნიშნული შეთანხმებით - **„მხარეები აღიარებენ ტყის კონსერვაციის და მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მნიშვნელობას და ტყის წვლილის მნიშვნელობას მხარეთა ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მიღწევაში[3]".**

3 ხელშეკრულების 233-ე მუხლი.

საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული შესაძლებლობები მოსახლეობისთვის

2020 წელს მიღებულ ახალ „საქართველოს ტყის კოდექსში[4]“ გაჩნდა რიგი ცვლილებები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალა სახელმწიფოს დამოკიდებულება საქართველოს ტყის მიმართ მათი ძირითადი ფუნქციური დანიშნულებისა და ფასეულობების გათვალისწინებით, ასევე გაზარდა სატყეო სექტორში დასაქმებულთა შესაძლებლობები, კერძოდ:

- **საშეშე მერქნის ხე-ტყის მდგრადი მიწოდების შესაძლებლობები:** სატყეო სექტორის რეფორმა ითვალისწინებს საწვავი ხე-ტყისა და მერქნის მდგრადი მიწოდების ახალ მექანიზმს ე.წ. საქმიანი ეზოების მეშვეობით. საქმიანი ეზო წარმოადგენს ტყის მართვის ორგანოს მიერ გამოყოფილ ადგილს[5], რომელიც განკუთვნილია დამზადებული რესურსის შემდგომი რეალიზაციის მიზნით დასაწყობებისთვის. ქვეყნის მასშტაბით, საქმიანი ეზოების მშენებლობა 2019 წელს დაიწყო[6]. 2026 წლის 1 იანვრამდე კვლავ იმოქმედებს ის წესები, რაც საშეშე-მერქნული რესურსის დამზადებასთან მიმართებით დღეს არსებობს. კერძოდ, სოციალური ჭრის ფარგლებში, ბილეთის საფუძველზე, მოქალაქეებს შეუძლიათ საშეშე მერქნის დამზადება ტყის ტერიტორიაზე, რაც ბარში 7 კუბური მეტრი, მაღალ მთაში 15 კუბური მეტრის ოდენობით არის კომლზე გამოყოფილი. ხოლო 2026 წლის 1 იანვრიდან უკვე ტყის მართვის ორგანო ეროვნული სატყეო სააგენტო უზრუნველყოფს საშეშე მერქნის დამზადებას, საქმიან ეზოებში განთავსებას და შესაბამისად, მის ხელმისაწვდომობას მოქალაქეებისათვის სათბობი თუ სამასალე მიზნებისათვის. მსგავსი პრაქტიკა ხელს შეუწყობს ხე-ტყის სოციალური პროგრამიდან გადასვლას საწვავი ხე-ტყის მიწოდების ახალ სისტემაზე, რაც ზრდის სატყეო სექტორში გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს, რომ ხე-ტყის მოპოვების დონე შეესაბამებოდეს ეკოსისტემაზე დაფუძნებულ ტყის მართვას. საქმიანი ეზოების მესაკუთრე და მმართველი იქნება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო.
- **ტყით საერთო სარგებლობა:** ტყის ბუნებრივი გარემოთი უსასყიდლო სარგებლობა, რომელიც გულისხმობს პირის უფლებას, იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში, პირადი მოხმარების მიზნით შეაგროვოს ტყის არამერქნული რესურსები, მერქნიანი მცენარეების პროდუქტები და ხის მეორეხარისხოვანი მასალები, აგრეთვე ფიჩხი.
- **საქართველოს ტყის კატეგორიებად დაყოფა:** ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციებისა და ტყის მართვის ძირითადი მიზნების გათვალისწინებით, დაიყო შემდეგ კატეგორიებად:

---

4 მიღებულია 2020 წელს, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, პირველი ტყის კოდექსი მიღებულ იქნა 1999 წელს.

5 „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დადგენილება №221, 2021 წლის 18 მაისი

6 www.forestry.gov.ge

- **დაცული ტყე**

  დაცული ტყის მართვის ამოცანაა მისი ბიომრავალფეროვნებისა და იშვიათი ან/და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და მოწყვლადი ეკოსისტემების დაცვა.

- **დაცვითი ტყე**

  დაცვითი ტყის მართვის ამოცანაა ტყის დაცვითი ფუნქციის (მარეგულირებელი ეკოსისტემური მომსახურებების) შენარჩუნება და გაძლიერება.

- **საკურორტო და სარეკრეაციო ტყე**

  საკურორტო და სარეკრეაციო ტყის მართვის ამოცანაა ტყის კურორტოლოგიური ფუნქციის, ლანდშაფტისა და ბუნებრივი ელემენტების შენარჩუნება და გაუმჯობესება.

- **სამეურნეო ტყე**

  სამეურნეო ტყის მართვის ამოცანაა ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობა და ტყის დაცვითი ფუნქციის შენარჩუნება.

▶ **საქართველოს ეროვნული ტყის აღრიცხვა** ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა პირველად, რომლის მიზანია ტყისა და ტყის რესურსების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება, ტყის მდგომარეობის მონიტორინგის უწყვეტი განხორციელება, ტყის შესახებ მონაცემების თაობაზე საერთაშორისო ანგარიშგება და ამ სფეროში ერთიანი პოლიტიკის დაგეგმვა. ტყის ეროვნულ აღრიცხვას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ყოველ 10 წელიწადში ერთხელ.

▶ **საქართველოს ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემა** არის სისტემატიზებული დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას საქართველოს ტყის შესახებ. საქართველოს ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემაში არსებული ინფორმაცია საჯაროა. ტყის მონიტორინგის მიზანია საქართველოს ტყის ეკოლოგიური მდგომარეობის დადგენა, მისი გაუმჯობესების მიზნით ანალიზის შედეგების სახელმწიფო ორგანოებისთვის მიწოდება და საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება.

▶ **სატყეო დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციური მოთხოვნები:** ტყის მართვაზე პასუხისმგებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ ტყის მართვაში მონაწილეობას იღებდნენ (დასაქმებულნი იყვნენ) მეტყევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის კვალიფიკაციის მქონე პირები. მეტყევე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ტყის სფეროში შესაბამისი უმაღლესი განათლება (სულ მცირე ბაკალავრის აკადემიური ხარისხი), ხოლო სატყეო საქმის სპეციალისტი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია. პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში, მეტყევესა და სატყეო საქმის სპეციალისტს უნდა ეცვათ შესაბამისი სპეციალური სამსახურებრივი ტანსაცმელი, რაც მიღებული პრაქტიკაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირველად საქართველოში განისაზღვრება, მეტყევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის შრომის უსაფრთხოების წესები, სოციალური დაცვის გარანტიები და ტყის სფეროში დასაქმებულ პირთა წახალისება.

ხის საწვავად მოხმარება და მისი გამონაბოლქვის ზემოქმედება ჯანმრთელობაზე

შეშის მოხმარება საქართველოში მთლიანი ენერგო მოხმარების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. 2018-2021 წლებში საქართველოში შეშის მოხმარება საშუალოდ 1.3 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენდა, რაც მთლიანი ენერგო მოხმარების 5%-ია.

საქართველოში შეშა სოფლად გათბობის ძირითად წყაროდ რჩება. 2022 წლის მონაცემებით, შეშას სათბობად სოფლად მცხოვრები საქართველოს მოსახლეობის 68.1% იყენებს, ხოლო ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ - 10.5%. შედეგად, საქართველოში დაახლოებით 382 000 შინამეურნეობა იყენებს შეშას სათბობ საშუალებად[7].



გაზიფიცირების დაჩქარებული პროცესის მიუხედავად, რეგიონების მოსახლეობის უმეტესობა სათბობად შეშას იყენებს.

მოსახლეობა ნაკლებად ინფორმირებულია შეშის არასწორი წვის შედეგად შიდა ჰაერის დაბინძურების და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შესახებ.

შეშის საშუალო მოხმარების მაჩვენებლების, საცხოვრებელი ფართობისა და ინდივიდუალური ღუმელების რაოდენობის გათვალისწინებით, სოფლად მცხოვრები ოჯახების დაახლოებით 66% ახერხებს თავის საკუთრებაში არსებული ფართის მხოლოდ მცირე ნაწილის გათბობას, რაც მათი ცხოვრების დონეს მნიშვნელოვნად აუარესებს. შეშის არაეფექტურად მოხმარების ისეთი დიდი

7 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

რაოდენობა, როგორიც საქართველოში აღიწერება მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. აღსანიშნავია, რომ ტრადიციული ღუმელი ხელს უწყობს შიდა და გარე ჰაერის დაბინძურებას. ეს რისკები გამომდინარეობს საწვავის არასრული წვისგან, რაც ასევე იწვევს მავნე ნივთიერებების გამოყოფას ჰაერში. შიდა ჰაერის დაბინძურებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის მავნე ზემოქმედება ჯანმრთელობაზე და რესპირატორული ინფექციების სიხშირე გაიზარდოს, მათ შორის პნევმონია, ტუბერკულოზი და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, გულ-სისხლძარღვთა დაავადება და სხვა[8]. საქართველოში მეზობელ და ევროპულ ქვეყნებთან შედარებით განსაკუთრებით მაღალია შენობის შიდა დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობა, 100000 ადამიანზე 26-ს აღწევს. მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი აზერბაიჯანში 9 ადამიანს შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული პრობლემა ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, განსაკუთრებით მყარი საწვავის დიდი ოდენობით მომხმარებელ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრია და იტალია აღნიშნული მაჩვენებელი - ნულია[9].



8 https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2568866/

9 მყარი საწვავით გამათბობელის მიმართ ეკოდიზაინის მოთხოვნების რეგულაციის სამართლებრივი ანალიზი, ოპერაციათა კვლევის ინსტიტუტი, ივნისი, 2023. ECO.Georgia

არამერქნული რესურსების ათვისება

საქართველოს ტყე, გარდა სამასალე და საშეშე მერქნისა, მოსახლეობას ასევე ამარაგებს არამერქნული პროდუქტებით, მათ შორის, სამკურნალო მცენარეებით.

საყოველთაოდ გავრცელებული განმარტებით, ტყის არამერქნული რესურსი არის - "მერქნის გარდა ყველა ის ბიოლოგიური წარმოშობის პროდუქტი, რომელიც მიიღება ტყეში, ხე-მცენარეებით დაფარულ ტერიტორიებსა და ტყის მიღმა არსებულ ხეებზე" (FAO, 1999).

საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია ქვეყნის ეკონომიკაში ტყის არამერქნული პროდუქტების გამოყენებისას მიღებული წილის გაზრდის საჭიროებას აღიარებს. მათ შორის, ტყის არამერქნული პროდუქტების გადამამუშავებელი მცირე საწარმოების შექმნის პოტენციალის შესწავლით, შესაბამისი კვლევის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავებითა და განხორციელებით.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არამერქნული ტყის პროდუქტების მოპოვებასა და მოხმარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. დღესაც, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა აქტიურად არის ჩართული ამგვარი პროდუქტების შეგროვებაში, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ ცხოვრებაში. თუმცა, ძირითად შემთხვევაში, ტყეში შეგროვებული ხილი და სხვა მცენარეები

მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის გამოიყენება და არ ხდება მათი სამომხმარებლო ბაზრებზე მიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა აგროვებს არამერქნულ პროდუქტებს, მათ თითქმის არ გააჩნიათ ამგვარი პროდუქტების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების და/ან კონკურენტულ ბაზარზე გატანის გამოცდილება. უმეტეს შემთხვევაში, ამგვარი პროდუქტების შეგროვება საერთოდ არ განიხილება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, როგორც დამატებითი ეკონომიკური შემოსავლების შესაძლებლობა[10].

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობას პირადი მოხმარებისთვის ტყეში შეუძლია შეუზღუდავად, უნებართვოდ და უსასყიდლოდ შეაგროვოს არამერქნული რესურსი. თუმცა, კანონმდებლობა ზღუდავს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მოპოვებას[11]. არამერქნული რესურსების რაციონალურად გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია მათი **შეგროვების მეთოდებისა და ძირითადი წესების ცოდნა**[12].

საქართველოს ტყის კოდექსი წარმოადგენს ჩარჩო კანონს ტყის არამერქნულ რესურსებთან დაკავშირებით. ტყის კოდექსმა, სხვა ინოვაციურ მიდგომებთან ერთად, ცალკე თავი დაუთმო ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების საკითხებს. შესაბამისად, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა საკანონმდებლო რეგულაციის ქვეშ მოექცა.

ტყის კოდექსის თანახმად, ტყის არამერქნული რესურსები განმარტებულია, როგორც - სოკო, სამკურნალო ნედლეული, ტექნიკური ნედლეული, სხვა ბალახოვანი მცენარეები და მათი ნაწილები, ბუჩქოვანი მცენარეების ნაწილები და მათი პროდუქტები, რომელთა შემადგენლობაში არ არის მერქანი.

10 ადგილობრივი მოსახლეობა და არამერქნული რესურსები - ნაკრესი

11 საქართველოს კანონი საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და ‘წითელი წიგნის“ შესახებ 2003, კონსოლიდირებული 2021; Georgian biodiversity database, 2021

12 იორდანიშვილი, 2016

ამავე კოდექსით დასაშვებია:

- ტყის არამერქნული რესურსებით საერთო სარგებლობა, რაც გულისხმობს ტყის ბუნებრივი გარემოთი უსასყიდლო სარგებლობას. მათ შორის პირის უფლებას, იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში და პირადი მოხმარების მიზნით შეაგროვოს ტყის არამერქნული რესურსები. თუმცა, რესურსის შეგროვების უფლება შეიძლება შეიზღუდოს ტყის მესაკუთრის ან ტყის მართვის ორგანოს მიერ, რომელიც განსაზღვრავს ტყის არამერქნული რესურსების დამზადებას, როგორც ტყით სპეციალური სარგებლობის სახეს[13];
- ტყის არამერქნული რესურსების დამზადების მიზნით ტყით სპეციალური სარგებლობა გულისხმობს კომერციული მიზნებისთვის მათ ხელმისაწვდომობას;
- ტყის არამერქნული რესურსების დამზადება დასაშვებია ტყის ყველა კატეგორიის ფარგლებში[14].

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ტყის არამერქნული პროდუქტების არამდგრადი მოპოვება, მნიშვნელოვანია, რესურსების შეფასება და მათი მდგრადი სარგებლობის დანერგვა, რომელიც ადგილობრივი თემების შემოსავლების ხანგრძლივად უზრუნველყოფას, განვითარებას და სამომავლოდ, პროდუქტების გადამუშავებით კიდევ უფრო მეტი შემოსავლების მიღებას მოემსახურება.

ამ მიზნით, ყოვლისმომცველი კვლევების საფუძველზე, საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის 2014-2020 (NBSAP) ფარგლებში[15], 2014 წელს შემუშავდა კომერციულად ყველაზე ეფექტური ტყის არამერქნული პროდუქტების სია.

ამავე ინიციატივის ფარგლებში, კომერციულად მნიშვნელოვანი სამი სახეობის არამერქნული პროდუქტების (ნაყოფების) მარაგების შეფასებისთვის

13 ტყით სპეციალური სარგებლობის სახეებია: ა) სამეურნეო ჭრით ხე-ტყის დამზადება; ბ) ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება; გ) პლანტაციური მეურნეობის მოწყობა; დ) სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობა; ე) საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებით ტყითსარგებლობა; ვ) თევზის მეურნეობის ან/და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა; ზ) ცხოველთა თავშესაფრისა და სანაშენის მოწყობა; თ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსება; ი) სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნებით ტყითსარგებლობა; კ) განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა.

14 საქართველოს ტყე, ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციებისა და ტყის მართვის ძირითადი მიზნების გათვალისწინებით, იყოფა შემდეგ კატეგორიებად: ა) დაცული ტყე; ბ) დაცვითი ტყე; გ) საკურორტო და სარეკრეაციო ტყე; დ) სამეურნეო ტყე.

15 ტყის მცენარეების სამიზნე სახეობების არამერქნული პროდუქტების აღრიცხვა-შეფასება. ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ინიციატივა (BIOFIN Georgia), II ფაზის მხარდაჭერით.

შემუშავებულ იქნა აღრიცხვა-შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგია, რომლის მიზანია დადგენილ იქნეს, აღნიშნული რესურსების მარაგები მდგრადი სარგებლობისთვის. ეს უზრუნველყოფს ტყის, როგორც მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკოსისტემის ფუნქციის შენარჩუნებას და ასევე, ამ რესურსების პროდუქტიულობას, თვითაღდგენას და სიცოცხლისუნარიანობას, ისე, რომ მათ ახლაც და მომავალშიც შეასრულონ შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე.

ნადირობის რეგულირების არსებული პრაქტიკა საქართველოში

ცხოველთა დაცვისა და გამოყენების სფეროში ძირითადი სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება „საქართველოს კანონით ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996 წ.). თუმცა, მისი ამოქმედებიდან დღემდე გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ახალი ფორმით დარეგულირებას საჭიროებს. ამავდროულად, გარკვეული საკითხები კვლავ რჩება რეგულირების მიღმა, მათ შორის: ნადირობის (მათ შორის, მტაცებელი ფრინველებით ნადირობა) ეფექტური მარეგულირებელი ნორმები, ნადირობის ლიცენზირების პროცედურები, გარეული ცხოველების რაოდენობის რეგულირება, ინვაზიური უცხო სახეობები, ჰაბიტატების დაცვა და ა.შ.

საქართველოში, ამ ეტაპზე, შემუშავების პროცესშია „ნადირობის კანონი“, რომელიც მოაწესრიგებს მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, გარეულ ცხოველთა სარგებლობასა და ნადირობის მართვასთან დაკავშირებულ სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს.

ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს ტყის კოდექსი), სამონადირეო მეურნეობა მიეკუთვნება ტყით სპეციალური სარგებლობის ერთ-ერთ სახეს.

არსებული პროცედურების შესაბამისად, სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყითსარგებლობის განსახორციელებლად, დაინტერესებული პირი ლიცენზიის/ნებართვის მოსაპოვებლად, განცხადებით მიმართავს შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. წარდგენილი განცხადების განხილვის პროცესში ერთვება კონკრეტული ტყის მართვის ორგანო. შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის გაცემისთანავე, ტყით სპეციალური სარგებლობით დაინტერესებული პირი იხდის მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის სალიცენზიო/სანებართვო საფასურსა და მოსაკრებელს. ტყითმოსარგებლე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავებს სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმას, რომელიც ტყითსარგებლობის განხორციელებისთვის სავალდებულო დოკუმენტია.

ტურიზმი

ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმი - ანუ ეკოტურიზმი აღიარებულია, როგორც კონსერვაციისა და მდგრადი განვითარების მიღწევის მნიშვნელოვანი გზა. იგი ხშირად განიმარტება, როგორც ტურიზმი, რომლის მთავარი დანიშნულებაა ბუნებრივი გარემოს ხილვა. აღნიშნული მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: მთამსვლელობა, ჩიტებზე დაკვირვება და სხვა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ტურიზმის ამ სექტორმა სწრაფი ზრდა განიცადა. 2023 წლის (იანვარი-სექტემბერი) მონაცემით საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 3,655,576 შეადგინა, რაც 2019 წლის (პანდემიამდე პერიოდის) მონაცემის 91.6% - ია, ხოლო 2022 წელთან შედარებით 35.2% - ით მეტია.[16]

ეკოტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია ტურიზმის ინდუსტრიაში. დღეს ეკოტურისტული მოგზაურობების რიცხვი სამჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე, ზოგადად, ტურიზმი. აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნებაზე მიუთითებს ბოლო წლების განმავლობაში ეკოტურისტული პროდუქტების მომხმარებელთა გაზრდილი ინტერესიც, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ სამომავლოდ ამ ბაზრის წილი კვლავაც გაიზრდება[17].

ეკოტურიზმი არის „მწვანე ტურიზმის“ სახეობა, რომელიც ხელს უწყობს მოწყვლადი რეგიონების, გარემოსა და თემების შენარჩუნებას. ეს ნიშნავს პასუხის-

16 საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.
17 საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

მგებლიან მოგზაურობას ბუნებაში, გარემოს დაცვასა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეკოტურიზმი წარმოადგენს დაბალი ზემოქმედების მქონე და ხშირად, სტანდარტული, მასობრივი ტურიზმის ალტერნატივას.

ეკოტურიზმი ხალხზე, თემზე ორიენტირებული და ადგილობრივ რესურსებზე დაფუძნებული მახასიათებლებით მჭიდრო კავშირშია აგრო და თემზე დაფუძნებულ ტურიზმთან და მდგრადი განვითარების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

საქართველოში, ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა განვითარებულია 18 დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციაში[18]. დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორებს შეუძლიათ დაგეგმონ სხვადასხვა სირთულის სალაშქრო, საცხენოსნო, ველო, თოვლის ფეხსაცმელების, ექსტრემალური სპელეოლოგიური, სათავგადასავლო, სანაოსნო და ფრინველებზე დაკვირვების ტურები. აგრეთვე, აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ვიზიტორთა ცენტრებში არსებული სხვადასხვა სერვისით და განთავსების საშუალებით, ტერიტორიაზე მოწყობილი საპიკნიკე და საკარვე ადგილებით, ვიზიტორთა ცენტრის სასტუმრო ნომრებით და ტურისტული თავშესაფრებით. ვიზიტორებს შეუძლიათ თავი გამოსცადონ დაცულ ტერიტორიებზე მოწყობილი ზიპლაინის და თოკების პარკის ატრაქციებზეც.

2023 წელს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობამ 786,533 ვიზიტორი შეადგინა[19].

18 თუშეთის, ბორჯომ-ხარაგაულის, ჯავახეთის, იმერეთის მღვიმეების (პრომეთეს მღვიმე, სათაფლია, ნავენახევის მღვიმე, საწურბლიას მღვიმე, თეთრა მღვიმე), მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების (მარტვილის კანიონი, ოკაცეს კანიონი, კინჩხას ჩანჩქერი), კოლხეთის, მტირალას, ქობულეთის, ალგეთის (ალგეთის ეროვნული პარკი, წალკის კანიონი), კინტრიშის, მაჭახელას, თბილისის (მცირე ინფრასტრუქტურა), ჭაჭუნას, (მცირე ინფრასტრუქტურა) აჯამეთის აღკვეთილის (მცირე ინფრასტრუქტურა) ყაზბეგის (მცირე ინფრასტრუქტურა), ფშავ-ხევსურეთის (მცირე ინფრასტრუქტურა) და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში.

19 სსიპ საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო

დიაგრამა 1. 2023 წლის ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით



კერძო საკუთრების ტყეები

საერთაშორისო მიდგომები

ტყის მესაკუთრეები და სუბიექტები, რომლებიც ჩართულნი არიან თავიანთ საკუთრებაში არსებული ტყის მართვაში, წარმოადგენენ შუამავალ რგოლს მოსახლეობასა და ტყისგან მიღებულ სერვისებსა და პროდუქტებს შორის. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (ECE) რეგიონში ტყეზე საკუთრების ფორმები განსხვავებულია. ტყის მესაკუთრეების უფლებები რეგულირდება საკანონმდებლო რეგულაციებით, რომლებიც დაკავშირებულია ტყის მიწასთან.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ტყის საკუთრებას განსაზღვრავს, როგორც ტყის თავისუფლად და ექსკლუზიურად გამოყენების, კონტროლის, გადაცემის ან სხვადასხვა ფორმით სარგებლობის კანონიერ უფლებას. საკუთრების მოპოვება შესაძლებელია გაყიდვებით, შემოწირულობებით და მემკვიდრეობით[20].

ტყის საკუთრების ტიპების[21] განაწილება მერყეობს და ევროპაში ტყის მთლიანი საკუთრება (რუსეთის ფედერაციის გამოკლებით, სადაც ყველა ტყე სახელმწიფო საკუთრებაა) თითქმის თანაბრად იყოფა, სადაც ტყის 44% სახელმწიფოა, ხოლო 56% კერძო საკუთრებაშია. თუმცა, 100% სახელმწიფო საკუთრებით გვხვდება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა თურქეთი, საქართველო ან უკრაინა, უფრო თანაბრადაა გაყოფილი საკუთრების ფორმები ირლანდიაში, გერმანიასა და ლუქსემბურგში, ხოლო კერძო საკუთრება ჭარბობს - გაერთიანებულ სამეფოში, შვედეთში, ავსტრიასა და პორტუგალიაში[22].



20 FAO, 2018, გვ.16
21 კერძო/სახელმწიფო საკუთრება.
22 Forest ownership in the ECE region, UNECE/FAO

კერძო საკუთრების ტყე და ტყითსარგებლობის ტრადიციები

ტყეებს ოდითგანვე ჰქონდათ უმნიშვნელოვანესი როლი საქართველოს კულტურული და ეკონომიკური განვითარების პროცესში. მერქნის დამზადება-გადამუშავება ათასწლეულების წინ დაიწყო. ამასთანავე, მათ ჰქონდათ გარკვეული სულიერი და რელიგიური დანიშნულება. ტყითსარგებლობა უფასო იყო და ტყე ეკუთვნოდა სამეფო საგვარეულოს, თავადაზნაურობას და ეკლესიას.

საქართველოში ტყის მართვის ტრადიციაზე მრავალი ისტორიული საბუთი მოიპოვება, რომელთაგან უძველესი XIV საუკუნით, ხოლო უახლესი XIX საუკუნით თარიღდება. დოკუმენტებში საინტერესო ინფორმაციაა ტყითსარგებლობის, ტყიდან მოპოვებული რესურსების, ტყის ფლობისა თუ გასხვისების შესახებ. წყაროებში გვხვდება სატყეო წესების დარღვევის ფაქტები და მათზე დაწესებული სანქციები, მაგალითად, ერთ-ერთ ისტორიულ დოკუმენტში აღწერილია ტყითსარგებლობის სამართალდარღვევა: დანაშაულის ფაქტის გაგება, მისი დადასტურება დანაშაულის ადგილის დათვალიერებით, მოწმეთა დაკითხვა, ნივთმტკიცების ამოღება და შესაბამისი სასჯელი[23].

საინტერესოა, რომ ისტორიულ დოკუმენტებში წარმოდგენილია ცნობები, სადაც ჩვენი წინაპრები გაცილებით ადრე აწესებდნენ და ასრულებდნენ მდგრადი ტყითსარგებლობის პრინციპებს, სანამ ეს შემუშავდებოდა საერთაშორისო დონეზე.

23 ნადირობისა და ტყით სარგებლობის ტრადიცია ძველ საქართველოში, გაერო სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, თბილისი, 2018.